

დამტკიცებულია შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორის 2016 წლის 17 აგვისტოს
№03/14 ბრძანებით



საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ინგლისური ფილოლოგია
English Philology
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თბილისი
2016

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მიმართულება: ჰუმანიტარული მეცნიერებანი(10) დარგი-ფილოლოგია (1005)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ინგლისური ფილოლოგია (English Philology)

კვალიფიკაცია, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი (Bachelor of English Philology)

პროგრამის მოცულობა-240 ECTS კრედიტი (6000 საათი)

პროგრამის ხანგრძლივობა-4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი

სწავლების ენა -ქართული, სპეციალობის მაპროფილებელი საგნების უმეტესობა შეთავაზებულია ინგლისურ ენაზე

პროგრამის ხელმძღვანელი- ასოცირებული პროფესორი ლაშა ჩახვაძე

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელსაც ექნება როგორც ფართო ფილოლოგიური, ასევე სპეციფიკური ცოდნა ინგლისური ენის სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესახებ, ენობრივი სისტემისა (ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული ასპექტები) და ინგლისური ენის ისტორიის შესწავლის საფუძველზე.

მეორე მთავარი მიზანია, კურსდამთავრებულს შეეძლოს მაღალ პროფესიულ დონეზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია ზოგად და დარგობრივ ინგლისურ ენაზე და საშუალო დონეზე ენობრივი კომპეტენციების დადასტურება გერმანულ ენაზე.

პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი ცოდნა მეოცე საუკუნის პირველ ნახევრამდე შექმნილი ბრიტანული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციებისა და ნაწარმოებების შესახებ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული და ერთიანი ეროვნული გამოცდების

შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს აღნიშნულ პროგრამაზე. ეროვნული გამოცდების საფუძველზე ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის მსურველებმა უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნა (ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაში – შეფასება მინიმუმ 51 ქულა).

ეროვნული გამოცდებით საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად სავალდებულო საგნებია:

– ქართული ენა და ლიტერატურა;

– ზოგადი უნარები;

– ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებით განსაზღვრული უცხოური ენებიდან ინგლისური ენის ჩაბარება

– არჩევითი საგნების ჩაბარება ისტორია/ლიტერატურა/ხელოვნებაში აბიტურიენტის არჩევით.

- საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის (მობილობის) წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად, დადგენილი პროცედურებისა და დაწესებულებაში არსებული წესის დაცვით.
- საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის (მობილობის) წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ

კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, ასევე საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც ბოლო ორი წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში, ჩააბარებენ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას ინგლისურ ენაში. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის გამოსაცდელმა უნდა დააკმაყოფილოს B1 დონე (გამსვლელი ქულაა მინიმუმ 51) ან წარმოადგინოს ენის ცოდნის დამასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი.

პროგრამის სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტს გააჩნია ჰუმანიტარული მეცნიერებების/ფილოლოგიის დარგის ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას. კერძოდ, ინგლისური ენასთან დაკავშირებული თეორიული კურსების შესწავლის საფუძველზე: კურსდამთავრებული იცნობს ინგლისური ენათმეცნიერების მთავარ კონცეფციებსა და მიმართულებებს; ერკვევა სპეციალობის მნიშვნელოვან ტერმინებსა და დარგობრივ სფეროში მიმდინარე პროცესებში; აცნობიერებს ენის ისტორიული ცვლილებების, ფონეტიკური, ლექსიკური და სემანტიკური მოვლენების როლს ენის განვითარებასა და ფუნქციონირებაში; გააჩნია საბაზისო ცოდნა ინგლისური ენის ისტორიული განვითარების შესახებ; აცნობიერებს ენობრივი ცვლილებების კანონზომიერებას და ხედავს ინგლისურ ენას ისტორიულ ჭრილში; თანამედროვე ენაში მიმდინარე მოვლენებს განსაზღვრავს ისტორიული ცვლილებების თვალსაზრისით და ენობრივ ცვალებადობას უკავშირებს სოციო-კულტურული კონტექსტის მოდიფიკაციებს; სტუდენტი იცნობს ინგლისური ენის, როგორც სისტემის, გრამატიკულ წყობას; ის ერკვევა ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართების პრობლემებში; იცის მეტყველების

ნაწილები, დროები, წინადადებების დაყოფის პრინციპები და სახეობები, არსებითი სახელის, ზედსართავის და ზმნის გრამატიკული კატეგორიები; ის ფლობს ინგლისური ენის გრამატიკის თეორიას. აქვს ფართო ცოდნა თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის თავისებურებებზე, სიტყვათწარმოების პროდუქტიულ ტიპებზე, ინგლისური ენის ლექსიკის გამდიდრების არსებულ გზებზე და საშუალებებზე და სხვ. აქვს ინგლისური ენის მდიდარი ლექსიკური მარაგი; გააჩნია ტექსტის ლინგვისტური ანალიზისა და ანალიზის შედეგად მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის ტექნიკა; იცნობს დარგობრივ ტერმინოლოგიას და ცნებებს; იცის თარგმანის ტექნიკის თეორიული საფუძვლები და იცნობს წერიითი თარგმანის ძირითად პრინციპებს.

ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის შესწავლის საფუძველზე:

კურსდამთავრებულს აქვს ევროსაბჭოს მიერ დამტკიცებული ენობრივი სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისი ინგლისური ენის სულ მცირე B2 დონე და აკმაყოფილებს ამ დონისადმი წაყენებულ მოთხოვნებს ოთხივე ენობრივი კომპეტენციის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) კუთხით. კერძოდ, აქვს დაგროვილი ლექსიკა ზოგადი და დარგობრივი თემატიკის ირგვლივ; ჩამოყალიბებული აქვს ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და აზრობრივად გამართული წერის უნარ-ჩვევები; იცის მოსმენის ტექნიკა და მეთოდები; არჩევს ინტონაციასა და რიტმს; იცნობს წერის ფორმებს (საქმიანი და არაოფიციალური წერილები, მოხსენებები, ესეი, რეზიუმე), მათ სტრუქტურასა და წესებს; ათვისებული აქვს მაღალი დონის გრამატიკული სტრუქტურები და იცის მათი გამოყენების წესი და კონტექსტი; ეფექტურად და მოქნილად იყენებს ენობრივ უნარ-ჩვევებს სოციალური, აკადემიური და პროფესიული მიზნებისთვის.

გერმანულის ენის პრაქტიკული კურსის შესწავლის საფუძველზე: კურსდამთავრებულს აქვს ევროსაბჭოს მიერ დამტკიცებული ენობრივი სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისი გერმანული ენის სულ მცირე B1 დონე დონე და აკმაყოფილებს ამ დონისადმი წაყენებულ მოთხოვნებს ოთხივე ენობრივი კომპეტენციის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) განვითარების კუთხით, კერძოდ, აქვს შესაბამისი ზოგადი ლექსიკა; შეუძლია ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და აზრობრივად გამართული წერა; იცის მოსმენის ტექნიკა და მეთოდები; არჩევს ინტონაციასა და რიტმს; იცნობს წერის ფორმებს (საქმიანი და არაოფიციალური წერილები, ესეი), მათ სტრუქტურასა და წესებს; ათვისებული აქვს შესაბამისი გრამატიკული სტრუქტურები და იცის მათი გამოყენების წესი და კონტექსტი; ეფექტურად იყენებს შეძენილ ენობრივ უნარ-ჩვევებს სოციალური, აკადემიური და პროფესიული მიზნებისთვის.

კურსდამთავრებულმა იცის ბრიტანული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპები, შესაბამისი ლიტერატურული ტენდენციები და მათთან დაკავშირებული სოციალურ-კულტურული კონტექსტები; იცნობს ძირითად ბრიტანელ მწერალთა მთავარ ნაწარმოებებს შუა საუკუნეებიდან მეოცე საუკუნის პირველ ნახევრამდე.

ასევე, სტუდენტი დაუფლებულია ფილოლოგიის სავალდებულო ზოგად კომპეტენციებს: ცნობს ენაში მიმდინარე ფონეტიკურ პროცესებს, მის ფონოლოგიურ სტრუქტურასა და ლექსიკურ შედგენილობას; იცის მხატვრული ტექსტის ძირითადი ელემენტები, თხრობის ხერხების თავისებურებები, სხვადასხვა ჟანრის თავისებურებანი; იცნობს ლიტერატურის თეორიის ძირითად მოძღვრებებს; იცის ევროპული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები და ტექსტები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კონკრეტულად, ფილოლოგიისთვის ნიშნული ძირითადი მეთოდების გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. კერძოდ, ის აქტიურად შეძლებს დისკურსში გამოიყენოს ძირითადი ენობრივი ერთეულები; შეძლებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ ჟურნალ-გაზეთების და მასმედიის ყველა საინფორმაციო საშუალების მეშვეობით უახლესი ინფორმაციის მოპოვებას; შეძლებს გაანალიზოს და დააღაგოს მონაცემები ლექსიკურ-სტილისტურად.

კურსდამთავრებულს შეუძლია ლიტერატურათმცოდნეობისა და ლიტერატურის თეორიის ცოდნის საფუძველზე კრიტიკულად შეაფასოს ლიტერატურული ნაწარმოებები, ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი დასაბუთებული, აკადემიური ფორმით, როგორც ზეპირი (პრეზენტაცია, დისკუსია), ასევე წერიითი ფორმით (ესეი, მცირენაშრომი).

კურსდამთავრებულს აქვს სულ მცირე B2 დონის ოთხივე სამეტყველო კომპეტენცია ინგლისურ ენაში:

კითხვა: შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს ვრცელი და რთული სხვადასხვა ჟანრის ტექსტი (მხატვრული, ინფორმაციული, პუბლიცისტური და სხვა ხასიათის), როგორც კონკრეტულ, ასევე, აბსტრაქტულ საკითხებზე, მათ შორის დარგობრივი ტექსტები. ამოიცნოს ქვეტექსტები და ავტორის ჩანაფიქრი, დეტალები და განწყობა.

მოსმენა: შეუძლია მოუსმინოს ავთენტურ აუდიო მასალასა და ენის მატარებლის საუბარს და მოახდინოს ადეკვატური რეაგირება, მიუხედავად სხვადასხვა საუბრის ტემპის, ინტონაციისა თუ თემატიკისა; არჩევს მეტყველების კონტექსტს, სტილსა და ჟანრს; სწორად რეაგირებს გაგონილ იმპულსებზე და ასრულებს რთულ დავალებებს. ესმის და რეაგირებს აუდიო მასალაზე, როგორც ყოფით, ასევე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და განათლების თემებზე; შეუძლია უცხოენოვან თანამოსაუბრეთა შორის ყოფით და დარგობრივ თემებზე მიმდინარე ინტერაქციის გაგება;

წერა: შეუძლია ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და აზრობრივად სწორად ჩამოაყალიბოს წერილობითი ტექსტი (დაწეროს ოფიციალური წერილი, ესეი); შეუძლია საკუთარი აზრის წერილობით მკაფიოდ და ორგანიზებულად გამოხატვა, დარგობრივი და ლიტერატურული სტილის ლექსიკით (სინონიმები, ანტონიმები, იდიომები, ანდაზები, ფრაზეოლოგიური ერთეულები და სალაპარაკო კლიშეები) აღჭურვილი ესეის შედგენა; სხვადასხვა ტიპის ოფიციალური წერილის შედგენა (ინფორმაციული, სამადლობელო, მოსაბოდიშებელი, მოსაწვევი, დამაზუსტებელი, განმარტებითი, აღწერითი, ახსნა-განმარტებითი ხასიათის), რომელიც გამყარებულია კონკრეტული მოსაზრების მხარდაჭერით/კრიტიკით და გააჩნია არგუმენტირებული დასკვნები და სტრუქტურულად და სტილისტურად შეესაბამება სტანდარტებს;

საუბარი: შეუძლია ენის მატარებელთან სპონტანური დაუგეგმავი ინტერაქცია ენის შეუფერხებელი ფლობის გარკვეული ხარისხით. შეუძლია გაბმულად აღწეროს საკუთარი გამოცდილება და მოვლენები, საკუთარი ოცნებები, იმედები, ამბიციები, მოიყვანოს მაგალითები და ახსნას მიზეზები საკუთარი გეგმებისა და შეხედულებების გასამყარებლად. შეუძლია მოყვეს ამბავი, მოთხრობა ან წიგნისა თუ ფილმის სიუჟეტი და გადმოსცეს საკუთარი რეაქციები, დარგობრივი ლექსიკის გამოყენებით; შეუძლია მოვლენების ადეკვატური შეფასება, შედარება, კრიტიკა და ანალიზი ლექსიკური და გრამატიკული ნორმატივების დაცვით; დიალოგის გამართვა, როლური გათამაშება, პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა - კამათი(მონოლოგიური/ დიალოგიური, მოცემულ სიტუაციაზე მოთხრობის აგება, სურათის აღწერა და აქტუალურ თემებზე პრეზენტაციის გაკეთება. შეუძლია დამოკიდებულების და ემოციური განწყობის გამოხატვა (მოწონება, უკმაყოფილება, დაზუსტება, დადასტურება, მადლობა, ბოდიში, გაკვირვება, სიხარული) და სიტუაციის დახასიათება; წაკითხული და გაგონილი ინფორმაციის შეჯამება და ძირითადი საკითხების გამოყოფა; პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა და მხარდაჭერა/ოპონირება.

ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრიატის კურსდამდამთავრებულს ასევე შეუძლია გერმანულ ენაში კომუნიკაციისას სულ მცირე B1 დონეზე საკუთარი ენობრივი კომპეტენციების გამოყენება.

დასკვნის უნარი

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება. ასევე, განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, შესაბამისად, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; ახალი ინფორმაციის მიღება, გადამუშავება და მონაცემების ინტერპრეტაცია, კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრისათვის სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენება, საკუთარი გადაწყვეტილების მიღების პრინციპების დასაბუთება და დაცვა.

კომუნიკაციის უნარი

პროგრამა კურსდამთავრებულებს სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდების მეშვეობით გამოუმუშავებს სოციალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს; შესაბამისი წყაროების მოძიების უნარს თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების დახმარებით; კურსდამთავრებულს შესწევს უნარი მშობლიურ და უცხოურ ენებზე (ინგლისურ ენაში მაღალ პროფესიულ დონეზე, გერმანულში საშუალო დონეზე) აწარმოოს კომუნიკაცია ზეპირი და წერილობითი ფორმით, მონაწილეობა მიიღოს პროფესიულ კამათში, არგუმენტირებულად დაიცვას საკუთარი პოზიცია როგორც სპეციალისტებთან პროფესიული დებატების დროს, ასევე, არასპეციალისტებთან. პრეზენტაციის მეშვეობით ის შეძლებს შეჯერებული ინფორმაციის დემონსტრირებას. შეუძლია სპონტანურად და თავისუფლად საუბარი ინგლისურენოვან მოსაუბრესთან, თემების ფართო სპექტრის შესახებ გასაგებად სტუდენტი შეძლებს ინგლისურ ენაზე ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას, დისკუსიაში ჩართვასა და დისკუსიის მოდერაციას.

გარდა ამისა, სტუდენტს სრულფასოვნად შეუძლია აწარმოოს როგორც წერითი, ასევე ვერბალური კომუნიკაცია სხვა ფორმატში და სხვადასხვა თემატიკის ირგვლივ.

სწავლის უნარი

პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტს, საკუთარი აკადემიური აქტივობის პერიოდული შემოწმების შედეგად, მოახდინოს მიღებული ცოდნისა და შეძენილი უნარების კრიტიკული თვითშეფასება პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად. კურსდამთავრებულს შეუძლია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიება ბეჭდური ბიბლიოთეკიდან, სხვა ბეჭდური და ელექტრონული წყაროებიდან და მათი სინთეზი. აგრეთვე მას აქვს ენის ისტორიული ცვლილებებისა და ლიტერატურული სიახლეების, მიდევნებისა და ფილოლოგიური ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. შეუძლია საკუთარი ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.

ღირებულებები

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს და შეუძლია გაანალიზოს და შეაფასოს ზნეობრივი ფასეულობების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ფენომენები (ჰუმანისტური და ესთეტიკური იდეალები და ტოლერანტობა). სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით ის პატივისცემით მოეპყრობა განსხვავებულ აზრს და შეძლებს საკუთარი აზრის კორექტულად, აკადემიური ფორმით დაცვას და დისკუსიას ეთიკის ნორმების შესაბამისად

წარმართავს. გარდა ამისა, კურსდამთავრებულს შეუძლია პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ ნაშრომზე, დაიცვას სხვათა საავტორო უფლებები, შეუძლია პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან დაკავშირებით საკუთარი და სხვისი დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება; ის მოწოდებულია, მონაწილეობა მიიღოს ღირებულებების ფორმირებისა და მათი დამკვიდრების პროცესში.

ენობრივ და ზოგადფილოლოგიურ კომპეტენციებთან ერთად სტუდენტს აქვს ცოდნა ბრიტანული სოციალურ-კულტურული ღირებულებების შესახებ, მას გამოუმუშავდა პატივისცემის გრძნობა დიდი ბრიტანეთის ისტორიის, ტრადიციებისა და ფასეულობებისადმი. ის აცნობიერებს უცხოური ღირებულებების ცოდნის და დაფასების აუცილებლობას კულტურათაშორისი კომუნიკაციის საწარმოებლად.

სწავლებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება უმაღლეს განათლებაში მიღებული ტრადიციული და აპრობირებული სწავლის ფორმები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი მუშაობა, ანალიტიკური ესეის დაწერა, ქვიზი, პრეზენტაცია, თარგმანი, პროფესიული პრაქტიკა და სხვ. ლექტორი ინდივიდუალურად ირჩევს სწავლებისა ფორმებსა და მეთოდებს, რაც ასახულია შესაბამისი საგნების სილაბუსებში.

ლექცია ნიშნავს სტუდენტებისადმი სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემას, განსახილველი თემის ან რაიმე საკითხის ახსნა-განმარტებას. იგი აქტიურია, როცა იღებს დიალოგის სახეს, ხოლო პასიურია მონოლოგის ფორმით;

სამუშაო ჯგუფში მუშაობა, რაც აისახება სტუდენტების მიერ ერთობლივი ან ინდივიდუალური მცდელობაში წინასწარ მიცემული საკითხის ან თემის შესახებ შესრულებული სამუშაოს წარდგენაში. მიზანშეწონილია გაუგებარი და ძნელად გასაგები საკითხების განმეორებით განხილვა, რაც უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

პრაქტიკული მეცადინეობა არის სტუდენტის ინდივიდუალური მუშაობა პრაქტიკული სახის ამოცანებზე, სავარჯიშოებზე ან სხვა ტიპის თემატიკაზე.

ანალიტიკური ესეი წარმოადგენს მცირე ზომის ნაშრომს, რომელშიც სტუდენტი დასაბუთებულად მსჯელობს მოცემული საკითხის შესახებ.

პრეზენტაცია წარმოადგენს სტუდენტის მიერ ვიზუალური და ვერბალური სახით გარკვეულ თემაზე დასაბუთებული მსჯელობის წარმოებას.

თარგმანი წარმოადგენს, სტუდენტის მიერ წერითი თარგმანის განხორციელების შესაბამის სტანდარტებთან შესაბამისობით.

ქვიზის დროს სხვადასხვა ფორმით (ღია და დახურული კითხვების კომბინაცია, მცირე ესეი, შემთხვევის განხილვა და სხვ.) ხდება სტუდენტის ცოდნის შემოწმება სასწავლო პროცესში (formative assessment)

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა ნიშნავს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობას ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებას.

***საბაკალავრო ნაშრომი.** საბაკალავრო ნაშრომი უზრუნველყოფს სტუდენტის მინიმალური კვლევითი უნარების განვითარებას. საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში სტუდენტი შესძლებს მოცემული თემის ირგვლივ მასალების მოძიებას (საბიბლიოთეკო და ინფორმაციული უნარ-ჩვევები), მოძიებული მასალების ზუსტი ბიბლიოგრაფიის შედგენას და მათი ძირითადი იდეების კრიტიკულად შეჯამებას, არსებული სამეცნიერო ნაშრომების კრიტიკულად წაკითხვას, იდეების შერჩევასა და ამ იდეათა ღირებულების მისთვის საინტერესო კონკრეტულ კონტექსტში შეფასებას, და მოცემულ თემასთან დაკავშირებული ნაშრომების წერილობითი ფორმით შეჯამებას.*

საბაკალავრო ნაშრომში სტუდენტი ასევე მოახდენს კვლევის თემისა და დიზაინის გადაწყვეტას; ლიტერატურის მიმოხილვის დაწერას; და მონაცემთა მოპოვება/შეგროვების სხვადასხვა მეთოდის განხილვა-შერჩევას.

სტუდენტი შეიძენს უნარს დამოუკიდებლად მუშაობის უნარები გამოიმუშაოს, შეიძინოს ცოდნა საკუთარ პროფესიაში და საბაკალავრო ნაშრომის სახით მოახდინოს ამ კომპონენტთა წარმოჩინება სხვადასხვა მიმართულებით:

- შეარჩიოს აქტუალური თემა საკუთარ სფეროში;
- თემის გარშემო მოიძიოს მასალები, მიღებული შედეგები მოამზადოს ნაშრომის სახით და განახორციელოს პრეზენტაცია-დაცვა კომპეტენტური კომისიის წინაშე.

პროფესიული პრაქტიკა გულისხმობს ხელმძღვანელის მითითებითა და ზედამხედველობით სტუდენტის მიერ, შეძენილი ენობრივი კომპეტენციებისა და ლიტერატურულ-ზოგადფილოლოგიური ცოდნის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას ძირითადად ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისურ თარგმანისა და თარგმანში კონსულტაციის, ტექსტის რეფერირების, თარჯიმნის ფუნქციის (გიდის), ვებგვერდის ინგლისურენოვანი მასალისგანხორციელების კუთხით უნივერსიტეტის სასწავლო სამთარგმნელო ბიუროში, ასევე სხვა დაწესებულებებში მსგავსი პროფილით (ტურისტული სააგენტოები, იურიდიული და აუდიტორული ფირმები და სხვ.).

სწავლა/სწავლების მეთოდები:

სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდოლოგიის გამოყენებას, რომელიც საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას. სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული მეთოდები (ვერბალური - თემის ახსნა, გამოკითხვა, მსჯელობა, დისკუსია-დებატები, პრეზენტაცია; წერითი - პრაქტიკული მეცადინებებისთვის დავალების მომზადება, სამუშაოჯგუფში მოხსენების/პრეზენტაციის მომზადება, ამონაწერები სახელმძღვანელოდან; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება - ინფორმაციის მოძიება-დამუშავება, პრაქტიკულიხასიათის ამოცანების შესრულება, მოხსენებისთვის/პრეზენტაციისთვის საილუსტრაციო მასალის მომზადებადა სხვ.), ისე სხვადასხვა მეთოდების კომბინირება (მაგ., ლექციებზე - მოსმენა და ჩანაწერების გაკეთება; ჯგუფში მუშაობისას - ვერბალური (შესწავლილ თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და დისკუსია/დებატები, პრეზენტაცია/მოხსენება), წერითი (დავალების/პრეზენტაციის მომზადება), საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება (კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, კომპიუტერული ტექნიკისადა შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით გაფორმებული/ილუსტრირებული მოხსენებები/პრეზენტაციები და ა.შ.). ქვემოთ იხ. მათი აღწერა.

მეთოდები

წიგნზე მუშაობის მეთოდი-ეს მეთოდი გულისხმობს სტუდენტის გაცნობას ლექტორის მიერ მითითებულ სავალდებულო და დამატებით ლიტერატურასთან, ჩანაწერებისა და ამონაწერების გაკეთებას, წიგნის ზოგადი და დეტალური ინტენციების გაგებას.

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: სხვადასხვა ტიპის ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეის შესრულებადა ა.შ.

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, რომლის დროსაც პედაგოგი ზეპირი გამოკითხვის საშუალებით აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას მიიღოს მონაწილეობა სწავლის პროცესში, გადმოსცეს საკუთარი აზრი თუ წაკითხული მოსაზრება;

დისკუსია/დებატები- ინტერაქტიურისწავლებისერთ-ერთიყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას.ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;

ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ ეძლევათ სასწავლო დავალებები. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;

წყვილური (pair work) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა წყვილებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. წყვილის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას სხვა წყვილებს და საბოლოოდ მთელს ჯგუფს. წევრებს. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობასა და თანამშრომლობას სასწავლო პროცესში.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – აღნიშნული სასწავლო მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემის დასმას იყენებს;

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება – სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში; თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება;

შემთხვევის ანალიზი (Case study) – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს (მაგალითად, კაზუსს), რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.

გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია

სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- ა) პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- ბ) დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- გ) გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;

ახსნა-განმარტებითიმეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაცხდება მოცემული თემის ფარგლებში. აღნიშნული მეთოდების გამოყენებით ხდება სწავლების ინტენსიფიკაცია (აქტივიზაცია), რაც სტუდენტში ახდენსშემეცნებითი საქმიანობის განვითარებასა და სტიმულირებას, აჩვენებს მას იაზროვნოს პროფესიულად. აღნიშნული მეთოდების გამოყენება მიზნად ისახავს და აინტერესოს სტუდენტი, შემოქმედებითად აქტიური და დამოუკიდებელი გახადოს იგი ცოდნის მარაგის პროცესში და სხვ.

პრაქტიკული სავარჯიშოები (experiential exercises), რომლის შესრულების პროცესში სტუდენტი ახდენს თავისი მოქმედების მოდელირებას სხვადასხვა კუთხით.

პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს სხვადასხვა აქტივობას.

მუშაობა მცირე ჯგუფში - ეს არის ერთ-ერთი პოპულარული სტრატეგია, რომელიც ყველა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს მონაწილეობა მუშაობაში, განავითაროს თანამშრომლობისა და პიროვნებათაშორისი უნარები, კერძოდ, აქტიური მოსმენა, საერთო აზრის გამოხატვა, კონფლიქტური სიტუაციის მოგვარება. მცირე ჯგუფში მუშაობისათვის მთავარი წინაპირობაა, რომ სტუდენტი ფლობდეს გარკვეულ ცოდნასა და უნარებს, დავალებისათვის სტუდენტს ეძლევა საკმარისი დრო.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს მასწავლებლისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

დემონსტრირების მეთოდი –ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ დეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო-ვიზუალური კუთხით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ.

ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავედროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც სტუდენტს უყალიბებს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს;

ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, რითაც მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;

სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის და ნახვის უნარის განვითარებას.

გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი - რომლის მთავარი მიზანია წერითი თარგმანისა და კითხვის სწავლა. გარკვეული გრამატიკული წესების ათვისებისათვის გამოიყენება სპეციალური ტექსტები და მიმდინარეობს მუშაობა ამ ტექსტებზე - სიტყვების დამახსოვრება, ორთოგრაფიისა და გრამატიკის შესწავლა.

სწავლა სწავლებით — ამ შემთხვევაში პედაგოგი გვევლინება კოორდინატორად, ნაკლებად მასწავლებლად. სტუდენტები თვითონ ასწავლიან ერთმანეთს დამოუკიდებლად. განიხილება როგორც კომუნიკაციური სწავლების ნაწილი.

აუდიო-ვიზუალური მეთოდი-გამოიყენება მხოლოდ უცხო ენა. ლექცია/პრაქტიკულ მეცადონეობებზე გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, სლაიდები, პრეზენტაციები, სტუდენტები პასუხობენ კითხვებზე; ორჯერ მეორდება იგივე პროცესი, ლექტორი ამახვილებს ყურადღებას საკვანძო სიტყვებზე, ხდება მათი ამოწერა დემონსტრირების მეთოდით დაფაზე.

კომუნიკაციური სწავლების მეთოდი, რომელიც წარმოადგენს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და აერთიანებს ამ მიმართულებით ეფექტურ მრავალ სხვა მეთოდს, რომლებიც ასევე აქტიურად გამოიყენება ჩვენი სასწავლო კურსის სწავლებისას.

საგნისა და ენის ინტეგრირებულ სწავლება (CLIL approach)

ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული საგნის შესწავლას უცხო ენის მეშვეობით. საგნისადმი კონკრეტული ინტერესის გათვალისწინებით, შემსწავლელს უხდება უცხო ენის გამოყენება რათა შესაბამისი ინფორმაცია მიიღოს. საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლება შედეგად იძლევა ენის გაუმჯობესებულ კომპეტენციებს, განსაკუთრებული კონკრეტული დარგობრივი ტერმინოლოგიისა და ენობრივი თავისებურებების ცოდნის თვალსაზრისით.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებს თითოეული დისციპლინის ლექტორი ადგენს (ირჩევს) ინდივიდუალურად, არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგანთა შორის ურთიერთკავშირის დანახვას და საერთო მიზნების შესატყვისი სწავლებისა და სწავლის სტრატეგიების გამოყენებას, ასევე მათ მუდმივ შემოწმებას შედეგების მიღწევის თვალსაზრისით და შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას კურსის სილაბუსებში.

დასაქმების სფერო

პროგრამა სტუდენტს ამზადებს, როგორც ფართო პროფილის სპეციალისტს მთარგმნელობითი, საინფორმაციო, სარეფერენტო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისთვის. ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრს მიღებული ცოდნა შეუძლია გამოიყენოს საზოგადოებრივი საქმიანობის ისეთ სფეროებში, როგორცაა - სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები, სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებები, უცხოური ქვეყნების საელჩოები და საკონსულოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ტურისტული სააგენტოები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტებში ფილოლოგიისან მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე და მიღების წინაპირობას ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოადგენს.

პროგრამის მოცულობა, სასწავლო პროცესის ორგანიზება, სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) და პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 4 სასწავლო წელს, 8 სემესტრს. საქართველოს კანონიდან „უმადლესი განათლების შესახებ“ გამომდინარე, პროგრამის შესასრულებლად სტუდენტს ესაჭიროება 240 ECTS (1 კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო (საკონტაქტო), ასევე დამოუკიდებელ მუშაობას). ყველა სასწავლო კურსი ითვალისწინებს 2 შუალედურ გამოცდას, ყოველი სასწავლო კურსი სრულდება დასკვნითი შეფასებით/გამოცდით.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი. თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

თავისუფალი სასწავლო კურსების არჩევა ხდება თდასუ-ში არსებული სხვა, იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები და თანმიმდევრობა. ასევე სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა გაიაროს სასწავლო კურსები უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 38 კვირას, ერთი სემესტრი 19 კვირას, მათ შორის 15 კვირა სასწავლოა, დანარჩენი 4 კვირა სასესიო. კერძოდ, მეექვსე და მეთორმეტე კვირაში ტარდება შუალედური გამოცდები, მე-18 და მე-19 კვირაში დასკვნითი გამოცდები, ხოლო მე-20 და მე-21 კვირა დასკვნითი გამოცდებისთვის განკუთვნილი პერიოდია. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას;
- სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ყოველკვირეულ ქვიზს;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მუშაობას (საშინაო დავალების მომზადებას, საგანთან დაკავშირებით ცოდნის გაღრმავებას და სხვ.);
- გამოცდების(შუალედური და დასკვნითი) მომზადება-ჩაბარებას;
- პრეზენტაციების მომზადებას;
- ანალიტიკური ესეის დაწერას;
- პროფესიულ პრაქტიკას;

პროგრამის სტრუქტურაკრედიტების განაწილების კუთხით შემდეგნაირია:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები- **35 ECTS** კრედიტი
- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - **10 ECTS** კრედიტი
- ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის (საბაკალავრო პროგრამის) განკუთვნილი სასწავლოკურსები - 142 ECTS კრედიტი, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: **20 ECTS** კრედიტი განკუთვნილია ე.წ. ფილოლოგიური კომპეტენციისათვის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის, 122 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს;
- 20 ECTS კრედიტი - სპეციალობის არჩევით კურსებს (40 კრედიტიდან)
- **10 ECTS** კრედიტი -პროფესიული პრაქტიკა.
- თავისუფალი სასწავლო კურსები - **23 ECTS** კრედიტი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

პროგრამის განხორციელებისას და სასწავლო კურსების სწავლებისას სტუდენტების თითოეულ სასწავლო კურსში მოსწრება ფასდება 100 ქულიანი მრავალკომპონენტური შეფასების სისტემით:

არსებობს დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს საგანი გავლილად ეთვლება, თუ ის აგროვებს მინიმუმ 51 ქულას. კრედიტის მინიჭება მოიცავს პროგრამით განსაზღვრული ძირითადი კომპონენტებისა (შუალედური გამოცდები და დასკვნითი გამოცდა) და კონკრეტული სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კომპონენტების ერთობლიობას. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება თუ სტუდენტის გამოცდის მთლიანი ქულიდან ნახევარს მაინც მიიღებს.

შეფასების ფორმები

თითოეული სასწავლო კურსის შესწავლისას სტუდენტის აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

- შუალედური გამოცდა
- დასკვნითი გამოცდა
- აქტივობა სამუშაო ჯგუფში და პრაქტიკული მეცადინეობის დროს
- პრეზენტაცია
- ქვიზი
- ანალიტიკური ესეი
- დამოუკიდებელი მუშაობა

კომპონენტები ფასდება ქულებით, რომელიც აისახება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში: დასკვნითი გამოცდა - მაქსიმუმ 40 ქულა, ხოლო შუალედური შეფასება მინიმუმ 60 (მათ შორის ორი შუალედური სემესტრული შეფასება, აქტივობა და ა.შ. ქულების გადანაწილებას ახდენს ლექტორი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც აისახება სილაბუსებში).

- სემესტრული და დასკვნითი გამოცდის ჩატარების ფორმაა წერიტი და ზეპირი გამოცდა კომბინირებული სახით ან ცალ–ცალკე. სემესტრული და დასკვნითი გამოცდის ფორმატს შესაბამისი კურსის თავისებურებების გათვალისწინებით, ადგენს შესაბამისი სასწავლოკურსის ავტორი/ავტორებიდა ასახულია სილაბუსებში.
- სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება, თუ მას სემესტრული შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა. სტუდენტს კრედიტი მიენიჭება იმ შემთხვევაში თუ ის ყველა კომპონენტის მაქსიმალური ქულების გათვალისწინებით დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას.
- სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, თუ მან მიიღო FX (41-50 – ვერ ჩააბარა) შეფასება; დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

შენიშვნა: შეფასების ფორმები და მეთოდები ყოველი ცალკეული სასწავლო კურსისთვის ასახულია სილაბუსებში, რომელთაც თითოეული ლექტორი ადგენს (ირჩევს) ინდივიდუალურად სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და დეპარტამენტისპროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ–მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი

საბაკალავრო პროგრამა რომელიც განხორციელდება თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში, უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. სასწავლო პროცესს უძღვებიან შესაბამისი პროფილის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტები–მეცნიერებათა და აკადემიური დოქტორები, პროფესორები, რომელთაც აქვთ პროფესიული საქმიანობის გამოცდილება დაეწვიან ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას.

პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

საბაკალავრო პროგრამის მატერიალურ–ტექნიკურ ბაზა განთავსებულია ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესატყვისი სასწავლო–მეთოდური ლიტერატურით, ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოებით; ბრიტანული და ამერიკული მხატვრული ლიტერატურით; რიდერებით; ენის სწავლებისთვის აუცილებელი მულტიმედიური მასალით (აუდიო დისკები, სასწავლო DVD ფილმები და კომპიუტერული პროგრამები, სხვა მულტიმედიური მასალა); ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტებისთვის შერჩეული სასწავლო ვებრესურსებით; მულტიმედიური ცენტრით, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და სასწავლო მულტიმედიური მასალებით; უფასო უკაბელო ინტერნეტით; ინგლისური ფილოლოგიის მიზნების შესატყვისი სხვადასხვა ბეჭდური და ელექტრონული მასალით.

სასწავლო უნივერსიტეტი ჩართულია პროექტში ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის -eIFL კერძოდ, უფლებამოსილია გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:

- EBSCOHost (search.epnet.com)
- BioOne (www.bioone.org)
- IMF eLibrary (www.elibrary.imf.org)

უნივერსიტეტს შექმნილი აქვს სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია სამართლებრივ-საინფორმაციო კომპიუტერული სისტემა „კოდექს-R3” მონაცემთა ბაზის სახით, რომლითაც სარგებლობენ როგორც სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, ასევე ადმინისტრაცია.

სტუდენტი მუშაობის პროცესში ისარგებლებს თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით, სასწავლო მულტიმედიური ცენტრითა და სასწავლო მთარგმნელობითი ბიუროს ბაზაზე არსებული რესურსებით.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკის გავლა უზრუნველყოფილია შესაბამისი პროფილის პრაქტიკის ობიექტებით.

სასწავლო გეგმა დანართი 1

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ინგლისური ფილოლოგია“ სასწავლო გეგმა

#	სასწავლო კომპონენტი	წინაპრობები	კრედიტები	საათები	საათების განაწილება					სასწავლო სემესტრები									
					ლექცია	საკონტაქტო საათები			სულ საკონტაქტო საათები	სემინარები	დაზოგადებული მუშაობის საათები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
						აქტივობა (ჯგუფში მუშაობა, მულტიმედია)	გამოცდები/დასკვნები	თი ა.მ.მ.ა.მ.ი.ბ.											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18		
საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები-35 კრედიტი																			
1	აკადემიური წერა	წინაპირობის გარეშე	5	125	17	28	7	52	73	X									
2	ინფორმაციული ტექნოლოგიები	წინაპირობის გარეშე	5	125	15	30	7	52	73	X									
4	უცხო ენა 1 /გერმანული A.1/	წინაპირობის გარეშე	5	125	-	60	7	58	67	X									
5	უცხო ენა 2 /გერმანული A.1.2/	უცხო ენა 1 /გერმანული A.1/	5	125	-	60	7	58	67		X								
6	უცხო ენა 3/გერმანული A.2.1/	უცხო ენა 2 /გერმანული A.1.2/	5	125	-	60	7	58	67			X							

5	კულტუროლოგია	წინაპირობის გარეშე	5	125	20	22	7	49	76		X						
6	მეტყველების კულტურა	წინაპირობის გარეშე	5	125	17	28	7	52	73		X						
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები 142 კრედიტი																	
ზოგადფილოლოგიური სასწავლო სავალდებულო კურსები – 20 სასწავლო კრედიტი																	
1	შესავალი ლიტერატურისმცოდნეობაში	წინაპირობის გარეშე	5	125	20	25	7	52	73		X						
2	ლიტერატურის თეორია	შესავალი ლიტერატურისმცოდნეობაში	5	125	19	26	7	52	73			X					
3	შესავალი ენათმეცნიერებაში	წინაპირობის გარეშე	5	125	30	15	7	52	73	X							
4	შესავალი ევროპული ლიტერატურის ისტორიაში	წინაპირობის გარეშე	5	125	15	30	7	52	73		X						
ინგლისური ფილოლოგიის სასწავლო სავალდებულო კურსები –122 სასწავლო კრედიტი																	
1	ინგლისური ენა 1 /B1.1/	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	6	150	-	90	7	97	53		X						
2	ინგლისური ენა 2/B1.2/	ინგლისური ენა 1 /B1.1/	6	150	-	90	7	97	53			X					
3	ინგლისური ენა 3/B2.1/	ინგლისური ენა 2/B1.2/	6	150	-	90	7	97	53				X				

4	ინგლისური ენა 4/B2.2/	ინგლისური ენა 3/B2.1/	6	150	-	90	7	97	53					X			
5	ინგლისური ენა 5/B2+/	ინგლისური ენა 4/B2.2/	6	150	-	90	7	97	53						X		
6	ინგლისური ენა 6 /C1.1/	ინგლისური ენა 5/B2+/	6	150	-	90	7	97	53							X	
7	ინგლისური ენა 7/C1.2/	ინგლისური ენა 6 /C1.1/	6	150	-	90	7	97	53								X
8	უცხო ენა 5 /გერმანული B1.1/	უცხო ენა 4 /გერმანული A2.2/	5	125	-	60	7	67	58					X			
9	უცხო ენა 6 /გერმანული B1.2/	უცხო ენა 5 /გერმანული B1.1/	5	125	-	60	7	67	58						X		
10	უცხო ენა 7 /გერმანული B2.1/	უცხო ენა 6 /გერმანული B1.2/	5	125	-	60	7	67	58							X	
11	უცხო ენა 8 /გერმანული B2.2/	უცხო ენა 7 /გერმანული B2.1/	5	125	-	60	7	67	58								X
12	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	წინაპირობის გარეშე	5	125	15	30	7	52	73	X							
13	ინგლისური ენის ლექსიკოლოგია	ინგლისური ენა 2/B1.2/	5	125	15	30	7	52	73				X				
14	ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა	ინგლისური ენა 3 /B2.1/	5	125	15	30	7	52	73					X			

15	ინგლისური ენის ისტორია	ინგლისური ენა4 /B2.2/	5	125	26	19	7	52	73						X		
16	თარგმანის თეორიის საფუძვლები	ინგლისური ენა4 /B2.2/	5	125	15	30	7	52	73						X		
17	ინგლისური ენის სტილისტიკა	ინგლისური ენა5 /B2+ /	5	125	15	30	7	52	73							X	
18	ინგლისურენოვანი ტექსტის ინტერპრეტაცია და ანალიზი	ინგლისური ენა5 /B2+ /	5	125	15	30	7	52	73							X	
19	წერითი თარგმანი ინგლისურ ენაში	ინგლისური ენა5 /B2+ /	5	125	-	45	7	52	73							X	
20	ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1	წინაპირობის გარეშე	5	125	28	32	6	67	59			X					
21	ინგლისური ლიტერატურის ისტორია 2	ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1	5	125	28	32	6	67	59				X				
22	ინგლისური ლიტერატურის ისტორია 3	ინგლისური ლიტერატურის ისტორია 2	5	125	28	32	6	67	59					X			
23	ინგლისური ლიტერატურის ისტორია 4	ინგლისური ლიტერატურის ისტორია 3	5	125	28	32	6	67	59						X		
24	პროფესიული პრაქტიკა	მინიმუმ 195 ECTS კრედიტის	10	250	-	180	5+4	189	51								X

		შესრულება, მათ შორის ყველა სავალდებულო საგნის ჩაბარება.															
ინგლისური ფილოლოგიის სასწავლო არჩევითი სასწავლო კურსები –20 კრედიტი																	
1	შესავალი ბრიტანეთმცოდნეობაში	ინგლისური ენა 2/B1.2/	4	100	30	15	7	52	48				X				
2	ეგზისტენციალისტური ლიტერატურა	წინაპირობის გარეშე	4	100	15	30	6	51	49				X				
3	ბიზნეს-კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე	ინგლისური ენა3 /B2.1/	4	100	-	45	7	52	48					X			
4	ინგლისური ენა ტურიზმისთვის	ინგლისური ენა3 /B2.1/	4	100	-	45	7	52	48					X			
5	სამართლებრივი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე	ინგლისური ენა4 /B2.2/	4	100	-	45	7	52	48						X		
6	ინგლისური ენა მედიისთვის	ინგლისური ენა4 /B2.2/	4	100	-	45	7	52	48						X		
7	ინგლისური ენის ვარიანტები	ინგლისური ენა 5 /B2+/	4	100	15	30	7	52	48							X	

8	საჯარო მეტყველება ინგლისურ ენაზე	ინგლისური ენა5 /B2+/ 4	100	15	30	9	54	48								X	
9	საბაკალავრო ნაშრომი	აკადემიური წერა 4	100	18	-	2	20	80									X
10	ამერიკული ლიტერატურის ისტორიის მოკლე კურსი	წინაპირობის გარეშე 4	100	15	30	6	51	49									X

თავისუფალი სასწავლო კურსები – 23 სასწავლო კრედიტი